Objektive Bedingung der Strafbarkeit

Unter einer objektiven Bedingung der Strafbarkeit versteht man eine im Gesetz festgeschriebene Voraussetzung, die zwar zur Verwirklichung eines Delikts vorliegen muss, auf die sich jedoch ausnahmsweise der Vorsatz nicht beziehen muss. Sie stellt einen bloßen Tatbestandsannex dar und wird daher am Ende des objektiven Tatbestandes geprüft. Das **deutsche Strafrecht** kennt sie nur vereinzelt, da sie unter dem Gesichtspunkt des Schuldprinzips problematisch sind (daher wird teilweise gefordert, dass der Täter dieses Merkmal jedenfalls hätte voraussehen müssen). Gerechtfertigt werden die objektiven Strafbarkeitsbedingungen deshalb, weil sie lediglich strafeinschränkende Wirkung haben – Der Gesetzgeber hätte auch das abstrakte Verhalten ohne den zusätzlichen Eintritt der objektiven Strafbarkeitsbedingung unter Strafe stellen können. Beispiele sind: „Tod oder schwere Körperverletzung" bei der Schlägerei (§ 231 dStGB), „Rauschtat" beim Vollrausch (§ 323a dStGB), „Nichterweislichkeit" bei der üblen Nachrede (§ 186 dStGB). Das **georgische Strafrecht** kennt dagegen keine objektiven Bedingungen der Strafbarkeit. Damit muss sich der Vorsatz – wie sonst auch – auf sämtliche Elemente des objektiven Tatbestandes beziehen. Eine Schlägerei kann aber als Hooliganismus (Art. 239 gStGB) bestraft werden, wenn die Tat mit Gewalt oder Androhung von Gewalt begangen wird, grob die öffentliche Ordnung verletzt und eine öffentliche Missachtung gegenüber der Öffentlichkeit zeigt. Eine Bestrafung kann auch nach Art. 126 gStGB (Prügelei oder andere Gewalt, die beim Geschädigten physische Schmerzen verursacht hat) erfolgen. Eine der Rauschtat entsprechende Norm gibt es im gStGB zwar nicht, die Begehung einer Tat im Rausch kann aber genauso bestraft werden, wie eine Tat, die im nüchternen Zustand begangen wurde. Der Bezugspunkt des Schuldvorwurfs wird in diesem Fall auf die Tatsache des sich Berauschens verschoben. Eine der üblen Nachrede entsprechende Norm gibt es im gStGB nicht. (Bhi/Kmt)

დასჯადობის ობიექტური წინაპირობა

დასჯადობის ობიექტური წინაპირობა წარმოადგენს კანონით დადგენილ წინაპირობას, რომელიც დელიქტის ჩადენისას უნდა არსებობდეს, მაგრამ, გამონაკლისის სახით, განზრახვა მას არ უნდა მოიცავდეს. ის ქმედების შემადგენლობის დანამატს წარმოადგენს და ამიტომაც ქმედების ობიექტური შემადგენლობის ბოლოს განიხილება. **გერმანული სისხლის სამართალი** მათ მხოლოდ სპორადიულად იცნობს, რადგან ისინი ბრალის პრინციპის თვალსაზრისით, პრობლემატურია (ამიტომაც, ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ დამნაშავეს ეს ნიშანი, სულ მცირე, უნდა გაეთვალისწინებინა). დასჯადობის ობიექტური წინაპირობები მართლდება იმითი, რომ მათ მხოლოდ სასჯელშემზღუდავი ეფექტი აქვთ – კანონმდებელს შეეძლო მხოლოდ აბსტრაქტული ქმედება დაესაჯა დასჯადობის ობიექტური პირობების დადგომის გარეშე. მაგალითებია: „სიკვდილი ანდა სხეულის მძიმე დაზიანება" ჩხუბში (გსსკ-ის 231-ე პარაგრაფი), „ქმედების ჩადენა სიმთვრალეში" სრული ინტოქსიკაციისას (გსსკ-ის 323a-ე პარაგრაფი), „დაუმტკიცებლობა"

ცილისწამებისას (გსსკ-ის 186-ე პარაგრაფი). შედარებისათვის, **ქართული სისხლის სამართალი** დასჯადობის ობიექტურ წინაპირობებს არ იცნობს. ეს ნიშნავს, რომ განზრახვა მუდამ ქმედების ობიექტური შემადგენლობის ყველა ელემენტზე უნდა ვრცელდებოდეს. ჩხუბი შეიძლება დაისაჯოს როგორც ხულიგნობა (სსსკ-ის 239-ე მუხლი), თუკი იგი უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას და ჩადენილია ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით. შესაძლებელია ასევე დასჯადობა სსსკ-ის 126-ე მუხლით (ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია). „ქმედების ჩადენას სიმთვრალეში“ სსსკ-ში შესაბამისი ნორმა არ გააჩნია, მაგრამ სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია ისევე დაისაჯოს, როგორც ის ქმედება, რომელიც სიფხიზლისას იქნა ჩადენილი. ამ შემთხვევაში ბრალის ამოსავალი წერტილი გადატანილია დათრობის ფაქტზე. ცილისწამების შესაბამისი ნორმა სსსკ-ში არ არსებობს. (Bhi/Kmt)